განკარგულება:**g-87. 87242462**
თარიღი:**02/09/2024**

განკარგულება N44

2024 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის გამოყოფილი შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 45-ე მუხლის მე-9 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 62-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. 2024 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით ახმეტის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მასობრივი საარჩევნო ღონისძიებების ჩასატარებლად საარჩევნო სუბიექტებისათვის უსასყიდლოდ გამოიყოს ახმეტის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული შემდეგი შენობა-ნაგებობები:

ა) ქ. ახმეტაში - ცენტრალური სტადიონი;

ბ) სოფელ ზემო ხოდაშენში - სტადიონი;

გ) სოფელ ზემო ალვანში - კულტურის სახლი, კულტურის სახლის ეზო;

დ) სოფელ ქვემო ალვანში - კულტურის სახლი, კულტურის სახლის ეზო;

ე) სოფელ საკობიანოში - ყოფილი ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;

ვ) სოფელ დუისში - სტადიონი;

ზ) სოფელ ჯოყოლოში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;

თ) სოფელ ხალაწანში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;

ი) სოფელ კასრისწყალში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;

კ) სოფელ მაღრაანში - ადმინისტრაციული ერთეულის შენობის ეზო;

ლ) სოფელ ომალოში (თუშეთი) - ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორია;

მ) სოფელ ქისტაურში - სკვერი;

ნ) სოფელ ოჟიოში - სკვერი;

ო) სოფელ მატანში - სკვერი;

პ) შახვეტილა - ამბულატორიის და მოსაცდელის მიმდებარე ტერიტორია;

2. განკარგულება საჯაროდ გამოქვეყნდეს ახმეტის მუნიციპალიტეტის ვებგვერდზე akhmeta.gov.ge, განთავსდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე, აგრეთვე გადაეგზავნოს ახმეტის №18 საოლქო საარჩევნო კომისიას.

3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა განისაზღვროს 2024 წლის 27 ოქტომბრამდე.

4. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ. თელავი, აღმაშენებლის ქ.№41).

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი